

1908

ფურნა

გამოც. № 3.

კარტიკატურებიანი აღმანახი

1908 წ.

1
1908

რ მ ა ნ ს ი.

(რუსულით)

როდესაც განახეთ მე თქვენ სიზმრადა,
მაშინ ბედნიერ წამით ვსტკებოდი,
რომ მეცნო იგი მე შესაძლოდა—
არც არასოდეს გავიღვიძებდი!..

თქვენ ჩემსა გულსა ნახათ ეყრდნოლით,
მეფიცებოლით, რომ სატრფო ჰპოვეთ
და ოდეს გითხართ—მე თქვენ მიყვარ-
| ხართ!
—მეც თქვენ მიყვარხართ!—გაიმეორეთ!

ო—მი.



ნერტის ხანა ცირკში.
არენა.

დედა და ქალი.

(„კრასნი—სარაფანის“ ხმაზედ)

- ქალი.** დედიჯან, დედილო!
გამათხოვე ვკვდები...
- დედა.** ჯერ აღრეა, შეილო,
როცა გაიზდები.
- ქალი.** დედიჯან, მითხარი,
თუ ჯვარს დამწერ მალე!
- დედა.** თუ გსურს გაგათხოვო,—
ცოტა დამაცალე.
- ქალი.** სულ მაგრე მატყუებ,
დაიცადე ჯერო.
- დედა.** რომ ვამბობ აღრეა?
უნდა დამიჯერო.
- ქალი.** გასულ თვის პირველში,
გაგხდი თხუთმეტისა.
- დედა.** პაწაწა გომბიოს,
შენ რა გესმის ქმრისა?!
- ქალი.** ჩემს პადრუგა ნუცას,
შვილი ჰყავს მე არა!
- დედა.** მოესწრები შენცა
მოიცა პატარა!..
- ქალი.** გქელი კაბა მინდა,
ვარ გასათხოვარი.
- დედა.** ცემა თუ მოგინდა,
შენ მე ეს მითხარი?!
- ქალი.** (ტირილით) შკოლაში არ წავალ,
ვივლი ბაღებში,
დავისუფლათ დავალ,

ვეჩერ ბაღებში.
რას მიშველის შკოლა,
რომ ვიკითხო, ვწერო?
„კავალრების“ ყოლა,
„ვოტ ჩუნოვ დელო“!
მუშტაიდში „ლეტომ“
„პრელესტ“ გულაობა,
ლამაზი ვარ მიტომც
ყველა თავს მეველება.
„მაზურკას“ თამაშში,
უნდა მნახოთ ბალში,
მორცხვად თავსა ვლუნავ,
კაქკაქივით ვბტუნავ!..
თამაშობის დროსა,
თითქოს ვფრინავ ცაში,
არ მაკლია „ბრაგო“!..
„პოკლონიკთა“ ტაში.
ვცხოვრობ ნებიერად,
არ ვემდური ბედსა,
კისერ მოღერელი
ვგევარ მაშინ მტრედსა.
მხოლოდ სამწუხაროთ,
შველა არსით არი,—
ეგებ თქვენ მახაროთ
და მიშოვნოთ ქმარი.
თუმცა პატარა ვარ,—
მიყვარს ყმაწვილები,
მხოლოდ გაბზეკილი
ქონდეთ უღვაშები!..

ი. გრიშაშვილი.

F 13461



ზ. ტარხნილ ანდრომენდა.

ლიტერატურული სამსახური
თბილისის
სამხრეთ-აღმოსავლეთი
სამსახური

კომედია ცხოვრებიდან.

(ნემეცურიდან)

ადალბერტი საუკეთესო მსახიობი იყო ქალაქის თეატრისა. ის ჩქარი ნაბიჯით დადიოდა თავის პატარა, მაგრამ ლამაზ ოთახში და როლს კითხულობდა. იგი უცებ შესდგა და გულმოსულმა რვეული კუთხეში გადააგდო.

— ნამდვილი სისულელეა, — წარმოსთქვა მან და უკვირდა, რომ მას, გამოჩენილ მსახიობს, ასეთი სისულელე შესთავაზეს სათამაშოთ, — შინაარსიან მოქმედებას მოკლებული! ეხლანდელი მწერლები! — გულის წყრომით განაგრძო მან, — ან-კი რა უნდა დაწერონ? რა მასალას აძლევს მათ ცხოვრება? ცხოვრება, რომელიც ასე უფერულია, უსიცოცხლო და აუღელვებელი!.

ლამაზ ადალბერტს, როგორც ქალაქის ქალები ეძახდნენ სწორეთ ამ დროს შეაწყვეტინეს თავისი მსჯელობა ეხლანდელ მწერლებზე. რადგანაც ვილაცამ კარები დააკაკუნა.

— ვინ არის? — შეიძლება! შემობრძანდით!... — წყრომით მიახალა, შემოსულ დიასახლისს, რომელიც ქშენით შემოვიდა მეტის მეტი სიმსუქნისაგან. იგი თითქოს ცოცხალ პროზას წარმოადგენდა ამ მშვენიერ პოეტიურ ოთახში, გავსილს გვირგვინებით — ოქროსა და ვერცხლის წარწერებით, ეტყობოდა, რომ აქ ძლევა მოსილ გენიოსს დაებუნდა და მის შემამკობლათ ჩამწკრივებულებიყვნენ ბრინჯაოს პატარა ქანდაკებანი და გვირგვინები ფერადი ატლასის ლენტებით. გვირგვინები, რომელიც თვით რომის ამაყ და დიდებულ კეისრის თავს დაამშვენებდა.

ორჯერ თვეში მთელი ეს ოთახის მშვენიერება მის პატრონს მიჰქონდა ქალაქის ლომბარდში და უკან მოქონდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ოთახის ფული იყო გასასტუმრებელი და, როდესაც ჯამაგირს იღებდა. ეხლა ყველაფერი თავის ადგილზე იდგა და საერთო პოეტიურ ჰარმონიას ხელს უწყობდა. ამ დროს ადალბერტი კმაყოფილი იყო, იგი ამაყურათ გადასცქეროდა მათ.

— ორ ყმაწვილს უნდათ თქვენი ნახვა — წაილულულა დიასახლისმა და პატარა ვერცხლის გვირგვინს გადახედა, თითქოს უკვირდა მისი ჯერ კიდევ იქ ყოფნა, — მგონი სტუდენტები არიან, ცისფერი ქუდები ხურავთ თავზე!..

— სთხოვე!
დიასახლისი ფრთხილათ გავიდვ ოთახდან.
ადალბერტმა აიღო რვეული, ჩაჯდა იქვე მდგომ სავარძელში და, ბეთხოვე-

ნის პოზით ჩაფიქრებულმა, დაუწყა რვეულის ფურცელს ცქერა.

ამ დროს ფრთხილათ გაიღო კარები და ორი სტუდენტი მოკრძალებით ოთახში შემოვიდა. ისინი იქვე კარებთან დადგნენ და სულგანაბულნი დიდხანს სტკბებოდნენ მსახიობის მრავალ-მეტყველოვან პოზით.

ადალბერტს უყვარდა სტუდენტები, რადგანაც ისინი იყვნენ პირველნი და მუდმივი შემქნელნი მისი დიდებისა, მისი სახელისა.

მათ მოკრძალებით ჩაახველეს.
მსახიობმა დინჯათ ასწია თავი რვეულიდან, მხიარული სახით მიეგება მათ და ორივე ხელი გაუწოდა ჩამოსართმევათ.

— აა, აკადემიის კეთილნო მოქალაქენო! რით შემიძლია გემსახუროთ?!...

სტუდენტები ამ სიტყვებზე, თითქოს რაღაც ფიქრიდან გამოერკვნენო და მსახიობის კარგათ მოქცევით გათამამებულნი აცნობდნენ თავის თავს:

— გენობს რა უტალღო!

— ფრიც მარკორდი! დიდებულ მსახიობს „მარკ“-ი და „ტალერ“-ი*) სასიამოვნოთ ეალერსებოდნენ, მანაც ღიმილით მიუთითა სკამზედ და სთხოვა დამსხდარიყვენ.

შემდეგ პატარა პაუზისა, ფრიცმა მოკრძალებით დაიწყა.

— ჩვენ თქვენთან მოსვლას ორი მიზანი აქვს, პირველი ისა, რომ ჩვენ გვინდა თაყვანი ვსცეთ თქვენ შეუღარებელ ნიქს და მეორე — ჩვენი თხოვნა მოისმინოთ. თხოვნა, რომელსაც უფრო ადამიანი გაიგებს და შეიწყნარებს ვიდრე მსახიობი. თქვენ ჯერ კიდევ აქ ჩამოსული არ იყავით, რომ მთელი ქალაქის ქალიშვილების გული დაიპყართ. ჩვენთვის კი, უბრალო მომაკვდავთათვის, საკმარისი იყო მხოლოდ ორი გული, რომელიც მხოლოდ ჩვენთვისა სძგერდნენ. მაგრამ აი, გამოჩნდით თქვენ და ჩვენ სატრფოთა გულიც თქვენ დაგვსაკუთრათ. ჩვენ კი ნემეცი სტუდენტები აბა რაღა სტუდენტები ვართ უსატრფოთ?! რამდენს არა ვსცდილობდით გველოთნა, გვექეიფნა, იქნებ ჩვენი ვარამი ლუდის ჭიქაში ჩაგვემარხა, მაგრამ მათი სახე, როგორც ფხიზლებს, ისე მთვრალთაც ყოველთვის წინ გვედგა. ჩვენ გთხოვთ, დაგვიბრუნოთ ჩვენი მტრედნი, დაგვიბრუნოთ ის წმინდა და უმანკო, ორი გული, რომელთა მფლობელიც თქვენ შეიქენით! თქვენ კიდევ ბევრი დაგრჩებათ! თქვენ ვერცკი იც-

ნობთ მათ: თქვენი თაყვანის-მცემელნი ისეთი მრავალრიცხოვანია, რომ ორის გამოკლება თქვენთვის შეუძნეველი იქნება.

— დიახ, რასაკვირველია — დაუმატა ნასიამოვნებმა მსახიობმა, — მაგრამ, ღმერთს გეფიცებით, არ ვიცი ვიზე ლაპარაკობთ?!..

— ჩვენ გეტყვით მათ სახელებს, მხოლოდ საიდუმლოთ — ლინა და მინა... მას შემდეგ რაც თქვენ დაგინახესთ, ჩვენზე ფიქრსაც კი დაანებეს თავი...

ადალბერტმა ამაყათ გადაისვა ხელი თავის მშვენიერ თმაზე, გაიმართა წელში და სარკეში მისი ლამაზი, ლერწამსავით სწორი ტანი გამოჩნდა. დიახ, იგი არწივი იყო, ლამაზი, შეუღარებელი, რომელსაც ცისაკენ გაეშვირა თავის, მძლავრი ფრთები და მედიღურათ ოვალ-გაუწდომელ სივრცეში მიექანებოდა და მას ათასი და ათი-ათასთა მშვენიერი თვალები მისჩერებოდა.

— მე თქვენ, ვფიცავ, მეცოდებით! მაგრამ არ ვიცი რით გიშველოთ?! — სიბრალულის კილოთი მიმართა მათ მსახიობმა.

— თქვენ შეგიძლიათ თავი შეაძლოთ ისე, როგორც შეაყვარეთ... — სასოწარ-კვეთილებით მიუგეს სტუდენტებმა.

— როგორ მიჩრჩევთ? როლი გლახათ ვითამაშო? წავახდინო? ეგ შეუძლებელია! ეგ თავხედური თხოვნაა... — წყრომით მიუგო მათ ადალბერტმა.

სტუდენტები შეკრთნენ, თითქოს კიდევ შეეშინდათ მისი. თავი მტყუანისავით ძირს დახარეს და აღარ იცოდნენ რა ეთქვათ.

— საქმე იმაში მდგომარეობს — ნელის ხმით დაიწყა გენობმა, — რომ არა ნაკლებ თქვენი თამაშისა — თქვენი მშვენიერი თმა იტაცებს მათ.

— მაშ ეხლა რაღას მიბრძანებთ, ხომ არ გინდათ, რომ თავი მოვიპარსო და მით თავი შევაძლოთ?!

მათ ენა აღარ ემორჩილებოდათ. ისინვ ქანდაკებასავით გაშეშებულიყვნენ და პირდაღებულნი მსახიობს შესცქეროდნენ.

უცებ მსახიობს თითქოს რაღაც გაახსენდა, წამოიწია სკამიდან და ჰკითხა: — როგორი სახისანი არიან თქვენი სატრფონი, ამიწერეთ!.

მათ მსწრაფლათ ამოიღეს უბის ჯიბიდან სურათები თავიანთის სატრფოებისა, რომლების მეორე გვერდზე ეწერა: „საუკუნოთ შენი“, ერთზე — ლინა, მეორეზე — მინა.

ადალბერტმა გადაათვალიერა სურათები და უკანვე დაუბრუნა.
დიახ, დიახ... — თითქოს რაღაც აგონ-

*) ნემეცური ფული,

დებოდა მსახიობს—ქალაქის ბაღში მე ხშირათ მინახავს ისინი მოსიერნი! არა უგვიანეს ერთი კვირისა, გაძღვეთ სიტყვას,—გზა დაბნეულნი ცხოვარნი ისევ თავიანთ მწყემსებს დაუბრუნდებიან.

— როგორ? მხიარულათ ეკითხებოდა ფრიცი.

— ეს ჩემი საიდუმლოა!..

იმედ მოცემულნი მალე გამოემშვიდობენ მსახიობს და ოთახიდან გავიდნენ.

ქალაქის ბაღში ხალხი ბლომათ სეირნობდა. ბაღის ერთ ერთ მიყრუებულ ხეივანში, დაბურულს დიდრონ ხეებით, რომელსაც მზის სხივებიც კი არ ხედებოდა, დასეირნობდა დიდებული მსახიობი როლით ხეში. ხელი ხელ გაყრილნი, თითქოს ერთმანეთს მიკრობოდნენ, ნახათ მოსიერობდენ მსახიობისკენ მინა და ღინა. მათ ლამაზ სახეზე ეტყობოდათ, რომ ყოველი მოძრაობა გამოჩენილ მსახიობისა აინტერესებდათ და სულ განაბულნი, აღტაცებული თვალებით შესცქეროდნენ მსახიობს მწველ და მომხიბვლელ თვალეში.

ისინი ნელ—ნელა უახლოვდებოდნენ მას. ადალბერტმა ვითომ და უცაბედათ გააგდო რვეული ხელიდან. ქალიშვილები მყისვე დასწვდნენ რვეულს, აიღეს ხელში და აღერსიანი ღიმილით მსახიობს გადასცეს. მან გამოართვა რვეული და თავისი ბასრი თვალეები ერთხელ კიდევ ჩანერგა მათ ნორჩ გულში და ქუდის მოხლით მადლობა გადაუხადა. ისინი უცებ შეკრთნენ; გაბტენ გვერდზედ და ერთმანეთს ჩაეკვრნენ. ისინი იცინოდნენ ჯავრისაგან და მხიარულებისაგან. მსახიობი კი ნელა განაგრძობდა თავის გზას.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ფრიცი და გენრიხი ბედნიერის სახით შევიდნენ გამოჩენილ მსახიობთან და აღტაცებულნი მადლობას უხდიდნენ.

— ისინი ისევ ჩვენი არიან,—მისაღმებისათანავე მხიარულათ მიმართა ფრიცმა,—გმადლობთ, გმადლობთ!.. როგორ მოახერხეთ? რა ქენით ისეთი, რომ ჩვენი გვრიტები ისევ ჩვენ დაგვიბრუნეთ?..

—სულ უბრალოთ, ქუდი მოვიხადე და თავი დაუკარი, მეტი არაფერი!..

ამ დროს მსახიობი ქუდით თავზე ოთახში დასეირნობდა.

— თავი დაუკარი?—გაკვირვებულნი ეკითხებოდნენ სტუდენტები.

— დიახ, აბა მიყურეთ... აი ასე...

სტუდენტებს აქ ის დაემართათ, რაც ღინასა და მინას, ისინი უცებ განზე გადგნენ და თვალეებს არ უჯერებდნენ—ნუ თუ თქვენ მშვენიერი თქვენი თმა ჩვენი გულისაჟვის გაიპარსეთ?!..

— არა, სრულიადაც არა, მე მხოლოდ ბელოტის პარიკი დავიხურე! შეხედეთ,— მან უცებ მოიხსნა პარიკი და მშვენიერი, მომხიბლავი, ისევ ისე ლამაზი ადალბერტი იდგა სტუდენტების წინ.

— ეხლა გარწმუნებთ, რომ თქვენი მტრედები სამუდამოთ თქვენი იქნებიან, რადგან მათ ველარაფრით ველარ დააჯერებთ, რომ ეს თმის ტყე თავზე—ბუნებრივია და არა ხელოვნური.

კმაყოფილი სტუდენტები სიცილს ველარ იკავებდნენ...

— დიახ, აკადემიის მოქალაქენო, ეს გახლავთ—კომედია ცხოვრებიდან!!.

გოლა ა—ძე.



პატარა ქალის სიმღერა.

დედას ბევრი შევეხვეწე, რომ ეშოვნა ჩემთვის ქმარი და პასუხათ ეს მივიღე: „შესაფერი არსად არი“

მერე მამას შევეხვეწე: პაპა, დუშკა, მინდა ქმარი! მაგრამ დახეთ უბედობას კილამ მთხლიშა თავში ხმალი.—

მეც ველოდე დღე და ღამე აცა ბედი გამეხსნება, მაგრამ თქვენც არ მომიკვდებით... ჯერაც არვინ არ მიჩნდება.

ოცი წლისა შევიქენი— არ მალირსეს გათხოვება; აწ ვინც მეტყვის მას წავეყვები,— მგონი ბევრიც იპოვება.

თქვენ მოგმართავთ, ყმაწვილებო, მომიძებნეთ სადმე ქმარი,— მე უმღვოლოდაც წამოგყვებით, არ მწამს ხატი, აღარც ჯვარი.

რას მიქვიან ეკლესია, გვირგვინი და ჯვარის წერა, რადგან კანონ-სამართალმა ქალი უქმროთ დამაბერა!!.

მამრანელი.

ოჩის მოლოდინში.

ახარ, მაქთაღჯან! გარგე, დედაკაცო, ახალი ამბავმა? ყურუმსალი ოსმალო რუსებზე წამოსვლას აპირებსო! ამბობენ, თუ უნდა ომი დაიწყოსო! ვა! რა კარგი რამე იქნება და, მაქთაღჯან! აი თუ წავალთ მე და შენ ნა ყარსუმ, ან ადერბიჯანუმ, ან თავრიზუმ! მამა ჩემი პოლოსას ცხონებაში იმოდენა ფულეებმა ვიშოვო, იმოდენა, იმოდენა, რომ სულ მეშოკებით წამოვიღებთ ოქროებმა...

— ღმერთმა ქნას, საქულჯან! მერე იცი

მე რას ვიზამ? დავიქერ ქალაქში წაგო... ლოცინსკუმ სამი ოთახმა, ვიყიდი კარგი ბაბორმა, წამოვიხსამ მხრებზედ, ერთი იმერელმა ბიჭმაც ვიშოვი და გრიგინგრიგინ ფაიტონომ, ხან ზევით და ხან ქვევით... ჩვენი მძახალი მარტიროსა რომ მნახავს, ჯავრით გულმა ვაუსქდება და თავის ცოლს ხანუშას ეტყვის: მაქთალა ფაიტონუმ ტულა სულა შვრებოდაო!

— ვა! რას ბოდავ? რას მიქარავ, მაქთაღჯან? მე იქ მარტო რა მინდა, ვინდა ლორის ზაკუსკა ოსმალეებმა ემე მიყონ???... არა, არა გენაცვალე, თუ ემეა, ბარემ ორივეს გვიყონ, შენ აქ არ გაგიშვებ პოლოსას სულის მხემ! შენც უნდა მოხვიდე, ვა!

— მერე, მე რა უნდა გავაკეთო? შენ გიყი ხომ არა ხარ! გინდა მეც ემე მიყონ?!

— ტო, ტუტუტუ! ერთათ რომ ვიქნებით ბუზიც ვერ აგვიფრენენ! მე მიშვრებოდნენ ემეს შენ შევეხვეწები—ჩემი საქულა ნუ მოკლავთო, მე მამკალითო! შენ გიზამენ ემეს და მე შევეხვეწეაი—ჩემი მაქთალას ნუ, ნუ—, ოქუთ მატალ, მე დამკალით მეთქი.

— მერე მართლაც რომ დაგკლან, საქულჯან, მაშინ მე რალა უნდა ვქნა?

— ტუტუტუ, ტუტუტუ, მაქთალ!.. რუსები მოვლენ რუსებს ვეტყვი: Пожолуста, мой Магтагъ твои будить მეთქი და თუ თათრები მოვიდნენ ვეტყვი— ჩოხ სალოლ, ყარდაშ, მაქთალ ბილმირსან, დალბაბიშამმქი—ეეე! ჭკვაზე მოდი ჭკვაზე, შენ რომ არა მყვადე ფულეებმა როგორ უნდა ვიშოვნო?!

— ვაიმე, საქულჯან! რეებს ამბობ მაქთალა გენაცვალემა, მე ხომ არ ვივაჭრებ ქა?!..

— ტუტუტუ, ტუტუტუ! შენ კი არა, მე ვივაჭრებ მე, შე ოჯახ ამობუქულო! ომში არ იცი როგორ ძვირია შენისთანა ადამიანები?! ორმოცი წლის დედაკაცი—ბარიშნა ეგონები! ააახ! ნეტავი მეც შენსავით დედაკაცმა ვიყო და იმდენი ოქრო, ვერცხლმა, მარგალიტ, ყაქმა ვიშოვო, რომ შირვან შაჰის აქლემებმა ვერ ჩამოიტანონ ქალაქში.

— წამოვალ-კი, მაგრამ ერთიც ვნახოთ გზაში ან კურდღელმა, ან მელამ, ან ტურამ შაგვხვდა, ხომ შაგვკამენ და ჩვენი ქონებაც ოხრაო დარჩება!

— ტუტუტუ მაქთალ, ტუტუტუ—ერთი პრავენია მივეცემ ღლუბერნატორს: Сакулъ на Карсумъ идоть, одинъ ружья давай მეთქი და ხელათ ბერდენკას მამაკრავენ; კურდღელმა კი არა მეცხვარის ძაღლმაც, რომ შამხვდეს, ხელათ ბერდენკაში გულას ჩავდებ და... ბრაახ! შენი კურდღელმა ძირსა გდია.

— მერე შენ რომ გულას გააგდებ, მე შიშით რომ ემე ვქნა და მამაჩემ მიკირტუმასთან წავიდე მერე?!

— ჰოო! ეგეც კვავსთან ახლოა და... მერე ეს ოხერმა ჩემ დღეში თოფმა არ გამისროლია, მაგრამ, ახმახ! ეხლა მამაგონდა!—მოდით მაშინით წავიდეთ, ჰა!..

— საქულჯან, ახარ ერთი თავი დამანებე და, მაშინა რომ დაიყვირებს, შენი მაქთალა ყირაშალა გადავარდებო...

— ვა? მაშ რა ვქნა ფულმა მინდა, ადამიანო, ფულმა! შე ოჯახ დაქცეულო, საკუთარი ეკიპაჟი, საკუთარი ბიჭმა და გოგო, საკუთარი სახლები და მალაზიები არ გინდა? ვა! როცა მაშინამ დაყვირება ქნას, შენ პირჯვარი დაიწერე და სუფსარქის შეეხვეწე. მორჩა და გათავდა.

— მაშ კარგი, საქულჯან, ჯანი გავარდეს, წამოვალ; ოღონდ იცოდე, არ მომატყუილო და რაც დამპირდი მიყიდო! მეც ხან ოსმალოს ჩავეხუტები და ხან რუსსა.—მაშ მივდივართ?!

— მივდივართ გენაცვალე მაქთალჯან, მაგ სულის კლიტეშიმივდივართ!!!

კირაკუზა.

როგორ შეიტყონ ქალი ვეხვარაშლია თუ არა?

(X-ს აზრი)

თუ ქალი თავის დავარცხნას ხუთ საათს უნდებო—შეყვარებულია, რომელიც ორ საათ ნახევარს—არა.

თუ ქალი სეირნობის შემდეგ სახლში ლოყა წითელი დაბრუნდა—შეყვარებულია, რომელსაც სახე მოღუშული აქვს—არა.

თუ ქალი თვალებს არ უხამხამებს გამვლელ-გამომვლელ ჩინოვნიკებს და კარდოსნებს—შეყვარებულია, რომელიც ყველას თვალს უხამხამებს—არა.

თუ ქალი წარმოდგენაზე დაიარება რაიმე პიესის საყურებლათ—შეყვარებულია, რომელიც ვეჭერ-ბალებში—არა.

თუ ქალი სადილობის დროს თითო კოვზს სუფს შეხვრებს და ერთ ქათმის ფეხს სჭამს—შეყვარებულია, რომელიც სადილის შემდეგ მადლარი ადგებო—არა.

თუ ქალი ოჯახურ საქმეზე და მომავალზე ფიქრობს—შეყვარებულია, რომელი ქალიც მქერმეტყველობს და ფილოსოფოსობს—არა.

თუ ქალი ხშირად დაიარება მუშტაიდში, ბოტანიკურ ბაღში, როტონდაზე და სხვა ამ გვარ გასართობ ადგილებში—

შეყვარებულია, რომელიც ხშირი სტუმარია ორთაქალისა და ვერის ბაღებისა—არა.

თუ ქალი დილაობით ზარმაცათ დგებო ქვეშაგებიდან, შუადღემდის წევს და ოცნებობს—შეყვარებულია, რომელიც დილა ადრიან ადგებო—არა.

თუ ქალი გამხდარია—შეყვარებულია, რომელიც მსუქანია—არა.

თუ ქალი „სიყვარულს“ ერთ უდიდეს რამეთ სახავს ქვეყანაზე და მას არ უღალატებს სიკვდილამდის—შეყვარებულია, რომელიც წუთიერ სიამოვნებისათვის და ჟინის მოსაკლავათ ზრუნავს—არა.

თუ ქალი კავალერთან ხელი-ხელ გაყრილი („პადრუჩკით“) დაიარებო—შეყვარებულია, რომელიც მარტო დაიარებო „უპადრუჩკოთ“—არა.

თუ ქალი ფანჯარაში ზის და მოუთმენლად აშტერდება ერთ წერტილს—შეყვარებულია, რომელიც ზის თავის სახლში და ხელ-საქმობს—არა.

თუ ქალი გოლოვინის პროსპექტზე ხშირ-ხშირად დაიარებო ვიდრე საათის ხუთამდინ საღამოსი—შეყვარებულია, რომელიც შუალამის თორმეტ საათამდისინ დაწანწალებს—არა.

თუ ქალს თვალები ჩაშავებული აქვს—შეყვარებულია, რომელსაც ლაბაში გადმოგდებული აქვს და ლოყები წითელი—არა.

თუ ქალი საპნით პირს იბანს შეყვარებულია რომელიც ფერ-უმარილს გუნდალახუსტაქს, ჩირქსა და კრასკებს ხმარობს—არა.

თუ ქალი „ზურნას“ არ კითხულობს—შეყვარებულია, რომელიც კითხულობს—არა.

ი. გრი—შვილი.

გასანათობი.

სეირნობის დროს.

ქალი. აბა მითხარი საშა! შენ უფრო რომელი ხილი გიყვარს?..

ვაჟი. მე საზოგადოთ ხილი ბევრნაირი მიყვარს: ყურძენი, ატამი, მსხალი, ბროწეული, მარწყვი, ქანქური და სხვა... მაგრამ განსაკუთრებით კი მწიფე ლელვი მიყვარს.

ქალი. რასაკვირველია მწიფე ლელვი უფრო სასიამოვნოა.

ვაჟი. შენა, ლიზიკო? შენ უფრო რომელი ხილი გიყვარს?..

ქალი. მე... მე უფრო ქორფა კიტრი მიყვარს.

ვაჟი. ჰმმმ... მართლაც რომ ქორფა კიტრი ყველაზე უფემრიელესია.

გრი—ი.



ეშმაკი. როგორ ბძანდება, ჩემო ძვირფასო.
ქალი. თქვენ სცდებით მე სრულუბიათაც არ გღარვარ ძვირად.



მოჭერაც საშიშია.

ცხელ-ცხელი ამბები.

— ამ დღეებში მოხდება კონფერენცია სრულიად კავკასიის მაქანკალ ქალეებისა და შუამავალ კაცებისა, თუ რა ზომები მიიღონ ჟურნალ „ცეცხლის“



წინააღმდეგ, რომ მასში აღარ იბეჭდებოდეს საჯვარისწერო განცხადებები, რადგანაც მათმა შემოსავალ ა საგრძნობლათ იკლო.

— **ბ. ივანე როსტომაშვილს განუზრახავს** გადმოესახლოს თელავიდან თფილისში და „ცეცხლს“ კონკურენცია გაუწიოს „საჯვარისწერო“ კასის დაარსებით, ჯერჯერობით კი ამგვარ კასას თელავში აარსებს. (მგონი კიდევ დაუარსებია).—

— როგორც თელავიდან გვატყობინებენ ივანე როსტომაშვილს საიქიოდან დეპეშა მოსვლია და იქაური ახალგაზდანი საჩქაროთ იბარებენ კასების დასაარსებლათ, როსტომაშვილს განუზრახავს რაც შეიძლება მალე გაემგზავროს და კასების საქმე მოაწყოს.



გ ა კ ვ რ ი თ.

ქალი. გამიგონია, რომ ქმრიანობა კარგია! მართალია თუ არა?!

ვაჟი. სად გაიგონეთ?

ქალი. მე გადმომცა ერთმა ჩემმა მეგობარმა ქალმა, რომელიც ეხლა-ხან მისთხოვდა ჩინოვნიკს!..

ვაჟი. მართალი უთქვამს,—ქმრიანობაზე უკეთესი სხვა არა არის რა ქვეყანაზე.

ქალი. აბა,.. როგორ?!..

ვაჟი. მაგას კი... ქორწინების მეორე დღეს აგისხნით!..

გრი—ი.

ქალბატონი და ზოგო.

ქალბატონმა, რომელიც ფეხთმძიმეთ იყო, შენიშნა, რომ მისი მოსამსახურე ქალიც ფეხმძიმეთ არის. „ნუ თუ არა გრცხვენია, შენ კიდევ ახალგაზდა ხარ და უკვე ფეხ-მძიმეთა ხარ?—უთხრა ქალბატონმა მოახლეს.

— ქალბატონო, თქვენც ხომ ფეხთმძიმეთა ბრძანდებით?

— ეს სხვა საქმეა—მე ქმარი მყავს.

— მეც თქვენი ქმრისაგან გახლავართ, ქალბატონო, სხარტათ მიუგო მოსამსახურე ქალმა.

მ ზ ვ ი ა ნ ო ბ ა.

(ესკიზი)

— მშვიდობით, ჩემო კარგო!

ამ სიტყვებით მან თავი მალდა აიღო. ის მის წინ იდგა, თავზე ეხურა ფართო კალთებიანი შლიაპა, რომლის

ქვეშიდანაც მისი შავი თვალები კეკლუცათ ანათებდენ, ლოყებზე წითელი წერტილები თამაშობდენ! რა მშვენიერა სანახაობა იყო იგი ამ დროს! მან კი მუშაობას თავი დაანება და აღფრთოვანებული, განცვიფრებით შეჰყურებდა ქალს.

— ჩემო კარგო, არ გინდა გამოემშვიდობო?—გაიმეორა ქალმა ღიმილით.

— გამოგემშვიდობო? შენ მიხვალ?!.

— ნუ ჯავრობ ჩემო... კარგო!.. მე... მე ცოტა აღენს გავისერიანებ... სულ ერთ საათს... მეტს არა!..

— მარტო შენ?

— ჩემო კარგო, სასაცილოა ღმერთმანი... ნუ თუ მე ბავშვი ვარ?!. მშვიდობით!.. ქალმა აკოცა მას და ოთახიდან მხიარულათ გამოვიდა.

— მე შენ რვა საათის შემდეგ აღარ მოგიცდი! მიაყვირა ქმარმა გასვლის დროს.

— კარგი!—

ის ადგა ფანჯარასთან მივიდა და გაფაციცებით ადევნებდა ქალს თვალს. ქალმა გადიარა ქუჩა!

რა მშვენიერი ტანთ-საცმელი აცვია! ნეტა რატომ გამოეწყო ამ ტანისამოსში სასერიანოთ? გასაკვირველია!

მან ტუჩები დაიკვნითა და გულში გაეღვიძა მწვავე, ნაცნობი გრძნობა.

— აგერ კიდევ გადიარა ქუჩა, მისი ფიგურა ძლივსა მოსჩანს შორიდან. მაგრამ ეს რაა?.. ვგონებ, მასთან ვიღაც მივიდა... ქალმაც უკან მოიხედა შიშის გამო—ვაი თუ ქმარი მიყურებდეს. იგი ხელს ართმევს ვიღაცა კაცს!!

— რა სისულელეა... ეს სრულიადაც ის არ არის... და თუ ის არის?!.—და კაცმა ნაღვლიანათ ამოიხვნეშა.

არა და არა! სუყველაფერი მიეფარა თვალიდან. ის ვეღარ არჩევს მის ფიგურას სხვა ქალებიდან, რომელნაც მოედანი გადიაჩეს.

ის ფანჯარას მოშორდა, გულისცემის შეჩერებას ცდილობს, თავის კაბინეთში აღელვებული გადის და სარკის წინ ჩერდება.

სარკეში მოჩანს გამხმარი, ფერმკრთალი. სახის ულამაზო გამოხატულება—მოწყენილ უსიამოვნო გამომეტყველებით. სახის ასეთი შეხედულება აორკეცებს გულმტკივნობის მწვავე გრძნობას და ბადებს რაღაც შიშს...

— რა გასაკვირველია,—მე რო მას არ უყვარდე?!—ფიქრობს ის.—მე ძლიერ ულამაზო და ხანში შესული ვარ მასთან შედარებით. თუ ის მე მალატობს—ეს ბუნებრივი მოვლენაა!..

დიახ, ბუნებრივია!—

ტუჩები შეიკუმშა და ხელები აუძაგდა.

— ბუნებრივია?!. ეს არაფრის გული-სათვის არ მოხდება! ამას მე ვერ მოვითმენ!.. სასერიანოდ ასე კარგად რატომ გამოეწყო ის? მასთან მივიდა, თუ სხვასთან, ის ვიღაც უცნობი კაცი?!.

ის მივიდა მაგიდასთან და სამუშაოს ხელი მოკიდა, მაგრამ მის ახლოს ტრიანლებს შავბედიით აჩრდილი—ექვიანობა, რომელიც მის აზრებს რევს და საშვალეობას არ აძლევს იმუშაოს. აჩრდილი მას სულს უხუთავს.

გარეთ ღამდება. ოთახშიც თითქმის ჩამოხნულდა; მან თავი ჩაქინდრა და ფერმიხდილი ჩაჯდა საჯარძელში. აჩრდილი თანდათან უახლოვდება.

— სულელო! ყურში ჩასჩურჩულებს აჩრდილი.

— შენ კიდევ ექვობ? შენ ცდილობ თვალები დახუჭო? გუშინ რა იყო?.. გახსოვს, თუ როგორ შეკრთა ის?.. როგორ სწრაფად დახია წერილი?.. დეიდალიზასთან მოწერილი“. როგორ ცდილობდა ღიმილით ჩაეფუჩებინა შენი იქვი! მის ღიმილში გამოსჩანდა შიში... მისი თვალები ცბიერად გამოიხედებოდენ! დღეს კიდევ,—ასე უცბად რატომ მოიერთო და საღაც წავიდა? იმას ეშინოდა, რომ შენც თან გაჰყვებოდი... შე სულელო... მას უყვარს ვიღაცა,—ეს ცხადია!.. გახსოვს, სამი დღის წინეთ გათენებისას რომ გამოიღვიძე?!. ის რაღაცას გაუგებრად თავისთვის ბუტბუტებდა;—ოჰ, რა ბედნიერათ გრძნობდა იგი ამ დროს თავს, როგორ უჭირდა მას ამოსუნთქვა.

მოიგონე, შენ შეგეშინდა და ქვასავით გაცივდი. მისი სახის გამომეტყველებამ შენ გაგაოცა. ხელ-ახლა გააღვიძა შენში ბოროტი ექვები. სულელო! იექვე! ის შენ დაგცინის!.. ის იყო ის! ქუჩაში მასთან მივიდა მისი საყვარელი... იმან უკან მოიხედა... შენი ეშინოდა—ფანჯარიდან არ მოგესწრო თვალი!—სულელო, მიხვდი?! დიახ, ეს აუტანელი რამ არის!.. ის ადგა და ფეხ-აკრფვით მის დასაძინებელ ოთახში შევიდა.

ღმერთო ჩემო, როგორ მიფანტულია ნივთები, როგორ სჩქარებია მას წასვლა! ეს რაღაა?!. აძიგძიგებულ ხელებით იატაკიდან ის იღებს ნაკუწ-ნაკუწად დაგლეჯილ ქალაღდის ნაწილებს და თავის ოთახში შედის. ფანჯარასთან დგება, ქალაღდებს ერთი-ერთმანეთს აწვებებს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. მხოლოდ ერთი სიტყვა „შენ“... მეორე „დღ“!.. ვგონებ დღეს?—ესლა ამოიკითხა.


— ეს მამაკაცის ხელს წააგავს!—ჩასჩურჩულებს მოჩვენება.



— არა!... ვგონებ, ლიზას ნაწერია!
 მოჩვენება ჩუმიად იცინის.
 დაღამდა კიდევ... საათმა ცხრა დაჰკრა!
 ის მაინც არსადა სჩანს! აღღვრებულ
 ლი ის გადი-გამოდის ოთახში. შავი აჩრ-
 დილი კვალ-დაკვალ დასდევს მას, უახ-
 ლოვდება და ერთსა და იმავე გულმოსა-
 კლავ სიტყვებს ჩასჩურჩულებს. ის მთლათ
 აენტო და აღარ იცის რა ჰქნას. აჩრდი-
 ლის სიტყვების გამოიფანტება ყოველი-
 ვე ექვიანობა და გულის დამკოდავი სი-
 ნამდვილე მეფდება მის არსებაში...

ეს მისი ნაბიჯის ხმა მოისმის კიბეზედ...
 ხელის კანკალით ის ნელა კედლიდან
 მოღუნულ სანადირო დანას ხსნის და სინ-
 ჯავს... არაფერი უჭირს, მოღვსილია!
 გადის დერეფანში და კარებს უკან
 იმალება... კანკალობს... უცდის... მის
 უკან შავბედითი აჩრდილი იმალება და
 თავისი განუწყვეტელი ჩურჩულით ამა-
 გრებს, ამხნეებს მის ბოროტს განზრა-
 ხვას, გადაწყვეტილებას... და აი...

„ერთის მეგობარი“.



ქვიშის სიმღერა.

(ფუძღვნი №-ს).

უბედური ჩემი ქმარი
 ვერა გრძნობდა სიყვარულსა;
 მას დაუდგეს ორთავ თვალი,—
 შენ სჯობიხარ ცხონებულსა.

თუ რომ მე შენ გეყვარები,—
 მეც მოგიძღვნი სულს და გულსა;
 ახლოს, ახლოს, მომეკარი!..
 შენ სჯობიხარ ცხონებულსა!..

არ ვიგონებ პირველ ქმარსა,
 არ ვიგონებ ჩემს წარსულსა;
 მე ვინც მიყვარს, ის სულ მიყვარს!..
 შენ სჯობიხარ ცხონებულსა!..

შენ მოგიძღვნი ჩემს სიცოცხლეს,
 ოქრო, ვერცხლს და ურიცხვ ფულსა,
 სად შენ და სად ჩემი ქმარი?!
 შენ სჯობიხარ ცხონებულსა!!!

სულ ვერავინ ვერ გაიგებს
 ჩვენსა ტრფობას დაფარულსა;
 მხოლოდ ხშირათ გამახარე...
 შენ სჯობიხარ ცხონებულსა!

ჩემთვის შლილი ვარდი ხარ შენ
 ზამთარსა და გაზაფხულსა;
 სწორეთ ჩემი შესაფერი...
 შენ სჯობიხარ ცხონებულსა!.

მაშ, მაკოცე, გენაცვალე,
 შენთვის დამწვარ დადაგულსა;
 მკერდი ჩემ მკერდს მოაკარი...
 შენ სჯობიხარ ცხონებულსა!!!

გრიშაშვილი.

პროპინცია.

წერილი გუბილიან.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ქ-ნი პე-
 ლაგია წაიკითხავდა გაზეთ „აზრის“
 № 15-ში გურიიდან მოწერილ ამბავს
 „წერილი გურიიდან“, სადაც სხვათა
 შორის ნათქვამი იყო, რომ ს. ქე—ში
 მოხდა სასოფლო კრება, რაზედაც აუარე-
 ბელმა ხალხმა მოიყარა თავი და გამოირ-
 კვა, რომ ერთ ახალგაზდას, რომელიც
 აქამდე „ახალთაობის“ წევრიც კი ყო-
 ფილა შეუცდენია ახალგაზდა, გამო-
 უცდელი ქალი, რომელსაც შეჰპირე-
 ბია ცოლობას და პატრონობას და
 შემდეგ კი მოუტყუებია, ქალი დაორ-
 სულელებულა და სხვა... მერე რა გადაწყვე-
 ტილება გამოუტანია კრებას? აი საკით-
 ხი, რომელსაც, თუ მართლა პელაგია
 ნამდვილად მოსარჩლეა ერის ზნეობრივ
 ამაღლებისა, უნდა მიაქციოს ყურა-
 დლება და მით უმეტეს გამოესარ-
 ჩლოს გაუბატურებულ ახალგაზდა ქა-
 ლიშვილს—თავისივე მიწა-წყლისა და
 ზიზღი და წყევლა-კრულვა შეუთვალოს
 იმ „ახალთაობის“ ვაჟბატონს, რომელ-
 მაც ეს საზიზღროება ჩაიდინა...

მაგრამ პელაგიას შინაურ საქმეების-
 თვის არა სცალიან, ის ებრძვის ბოკა-
 ჩიოს და მის ნოველებს, რომლებსაც
 მისი აზრით გარყვნილება შეაქვსთ საზო-
 გადობაში. და ის საზოგადოება კი, რო-
 მელსაც მინდობილი ქონდა ამ საქმის
 გამოკვლევა გამოძიება, მხოლოდ ზიზღ-
 სა და კიცხვას უთვლის ბოკაჩიოს ნაირ
 რაინდს და სწყვეტს ქალის მოსალოგი-
 ნებლათ ამ ვაჟბატონმა გადაუხადოს ერთ-
 დროულათ 30 მანეთი. ბავშვის კითხვა
 რი ღიათ რჩება.—

მე მგონია, ამაზე მეტად ქალის დამ-
 ცირება, აღარ შეიძლება. და აი სად უნ-
 და გამოიჩინოს ქ-მა პელაგიამ ფხა და
 უნარი! აი ვის უნდა გამოესარჩლონ ისა
 და მისი რწმუნებული ოცდა ხუთი ქალი.

მაგრამ პელაგია, დარწმუნებული ვართ,
 ამაზე სულაც არ ამოიღებს ხმას და
 მთელ თავის სიცოცხლეს „ცეცხლის“
 ჩხუბსა და კრიტიკას შესწირავს. მას მხო-
 ლოდ „ცეცხლი“ ელანდება თვალეში

და მის იქით რა ხდება თვით ცხოვრე-
 ბაში იმას კი აღარ ამჩნევს.—

ერთი დამსწრეთაგანი.

ავთიაჰრის წერილი საბრწოხსადმი

მინდა მუდამ შენთან ვიყვე,
 მოგეწებო ვით „პლასტირი“,
 „სასაქმებელ წამალივით“,
 რომ მაწვალებ მისთვის ესტირი!

ვით „ქინინა“—მწარე სიტყვებს,
 ან დამწველს ვით „ლიაპისი“,—
 ნუ მომყარი, ჩემო ტურფავ,
 შეიბრაღე „დიანისი“!..

წინაზედ რომ უარი სთქვი,—
 გულში მომხვდა, როგორც ტყვია;
 თუმც „კრიზისი“ გადვიტანე,
 სამაგივროთ მუდამ მშია!

ახლა კიდევ გიმეორებ
 ნულარ მტანჯავ, მოდი მნახე;
 „სიცოცხლის ბანს“ შენგნით ველი
 მომარჩინოს ეგებ მალე!

ტიტიკო მგელაძე.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

„რაქა-ლეჩხუმ სვანეთის სწავლა-გა-
 ნათლების შემტან საზოგადოების“ გამ-
 გეობის თავმჯდომარე ევგენი დვალი ამით
 აცხადებს, რომ ხსენებულმა საზოგადოე-
 ბამ გახსნა თავისი განყოფილებანი რაქა
 ლეჩხუმის და სვანეთის ყველა სოფლებში
 და შეუდგა თავის მოქმედებას! დაარსა
 სკოლები, თეატრები, წიგნის მაღაზიები,
 სამკითხველო წიგნთსაცავები, სტამბები
 და სხვ... მოაწყო ლექციების კითხვა
 და სხვ .. ამიტომ ხსენებული საზოგა-
 დოების გამგეობა იწვევს სკოლებისათვის
 მასწავლებლებს, თეატრებისათვის არტი-
 სტებს, წიგნის მაღაზიებისათვის ნოქრებს,
 სამკითხველოებისათვის გამგეებს, სტამ-
 ბებისათვის ასოთ-ამწყობებს, ლექციების
 წასაკითხათ ლექტორებს. პირობების გა-
 გება შეიძლება „ცის ნამის“ და „წმინდა
 გიორგის შუბ მათარხის“ რედაქციებში,
 რომლების ადრესიც არის—პირველის ცის
 ჰაერი და მეორის—მეპურეთა ფქვილის
 ტომრის საწყობი.



გ ა ს ა რ ი თ ე ბ ი

ციხეში ბანქოს თამაში.

ბანკის მოსამსახურეთაგანი—ბუხგალტერი, 55,000 მანეთის გაფლანგვის გამო ციხეში ჩასვეს. ეს ვაჭბატონი, როგორც ბანქოს მოტრფიალე, ციხის კამერაშია ცხირათ ეთამაშებოდა ტუსაღებს ბანქოს. ერთხელ ერთ კინტოსთან მოუხდა თამაში და რადგანაც კინტო თანდათან აგებდა ფულს, ორ-ორ შაურობით მიდიოდა „კონს“. ბანკის მოსამსახურეს მეტის იმედი ქონდა და გაჯავრებულმა მიმართა ამხანაგს.

კუროპატკინივით სულ უკან უკან რას იხევი... გადმოდრი რაღა თუმნიანებს....

— ეეე! შენ ხომ ზევით ეტაჟაში არა გწევნ. ცოტა დაულაგდი, ნუ თუ ის აღარ იცი, რომ კასის გასაღები ჯიბეში აღარ გიძევს და ჩემსავით ციხეში ყურყუტობ?!..

პლატონჩიკი.

დექემები „ზურნისა“

სტამბოლი. ოსმალები დიდ მზადებაში არის ყარსის და ბათუმის საზღვარზე დიდ ძალ ჯარს უყრიან თავს. მოსალოდნელია ომი რუსეთთან.

ქუთაისი. მანიფესტი გამოაცხადეს თუ ბოლოს არ მიეკვარახებინა.

ბათომი.

ყარსი. ჩქარი მატარებლის მიმოსვლა.

ყვირილა. ცნობილი ბანკირი და ფინანსისტი ომანი იოსელიანი გააშავეს და მის ალაგას ეირჩიეს ზინგერი... სოგრატ აბაშიძეს ებოძა პოდპოლკოვნიკობა და დროებით დანიშნეს ქუთაისის გუბერნის ციხის უფროსად—ვარდენ საყვარელიძე წარდგენილა ამავე თანამდებობაზედ. ეს მეორე დღეა რაც კლუბში სკანდალი აღარ მომხდარა.

გორი. არჩვადისა და მისურადის წიგნის მალაზიაში მიღებულია დიდ ძალი ატენის ლენოვები. ფასები საოცრად იაფია. ვედრო —1 მ. 50—ერთი გადაკვრა—უფასოთ. აუარებელი მუშტარი ასეგია მალაზიას.

სიყვარულია, თუ მასხრობა!..

სიყვარული, სიყვარულის გრძობა, პატიოსანი, უმანკო სიყვარული, — არავითარი ბოროტი აზრით არ გამოწვეული, მშვენიერი, გულმომტაცი—კეკლუცი სიყვარული... ორ ადამიანთა პატიოსანი კავშირი, — აზროვნებათა თანხმობა ქალსა და ვაჟს შორის, მათი ერთმანეთთან დაახლოვების მიზეზი-იდეა ერთნაირი, გარეგნული სილამაზე სულიერ სილამაზეზე გაცვლილი—ქვემარტად სათაყვანებელია, ღირსია პატივისცემისა, მაგრამ სიყვარული გარეგნული შეხედულებით გამოწვეული, ხორცეული, სქესობრივი, ნივთიერ ბედნიერების დამყარებით გამოწვეული, უქკუო-უმსგავსო, ადამიანის პიროვნების დამამცირებელი სიყვარული, სიყვარული გონება დაზღუნგულ ადამიანისა, დიახ, საზიზღარია, შესაფურთხებელი...

ბევრი შეყვარებულნი კავშირდებიან უაზროთ-გარეგნულ სილამაზის მიხედვით—დიახ, გარეგნული და ეს კი წარმავალია, გაქნება ლოყა წითელი, — მოგაკლდება მიხვრა-მოხვრის უნარი—იკარგება სიყვარულის ძალა, შეყვარებულნი მტრები ხდებიან ერთმანეთის—დიახ, ერთმანეთს შეიძულევენ—რატომ? გაქრა მათი შემაერთებელი მიზეზი, გაწყდა ძაფი სიყვარულისა და ეს არის მოსაწონი? დღევანდელი სიყვარული? მასხრობა! ან და არ არის ნამდვილი, პატიოსანი სიყვარული?

ძვირათ შეხედვებით ნამდვილი პატიოსნურათ შეყვარებულთ—სანამ ადამიანი პიროვნების იდეურ მხარეს არ მისცემს უპირატესობას სიყვარულში, სანამ ადამიანი არ ამალდება—სიყვარული მასხრობა იქნება. მიეცით ადამიანს ზნეობრივი განათლება, აამალღეთ გონებრივით, ჩაუნერგეთ სიყვარული კეთილ აზროვნებისადმი, სიყვარული ქალსა და კაცს შორის განსპეტაკდება—გალამაზდება და დღეს კი ნამდვილი სიყვარული, შეყვარებულნი, იცოდეთ არ არის, არის მხოლოდ სიყვარული—მასხრობა.

„ასიდან ერთი“:

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ალბი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალ „ზურნაშიდ“ ჩემ პატარა შენიშვნას.

ჩემი განცხადების დაბეჭდვის შემდეგ ცეცხლი № 2, აუარებელი წერილი მივიღე სხვა და სხვა ნაირი წინადადებით, რადგანაც ჩემთვის შეუძლებელი შეიქნა ყველა წერილების ავტორთათვის პასუხის ბაცემა—ამიტომ გაზეთის საშუა-

ლებით მათ წინაშე ბოდიშ ვიხდი... მით უმეტეს რომ ჩვენ ჩვენს მიზანს უკვე მივალწიეთ. გთხოვთ მეორეთ ჩემს განცხადებას ნულარ დაბეჭდავთ.

რედაქციისაგან. რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ჟურნალის გამოცემა დღემდის შეჩერდა, დღეის შემდეგ კი ჟურნალი წესიერათ გამოვა, ორ კვირაშიდ ერჯელ. ზოგიერთი მკითხველები გვისაყვედურებენ, რომ განცხადების პატრონთ წერილებს უგზავნით და პასუხს არ ვლბულობთო, ასეთი პრეტენზია ახირებულათ მიგვჩნია. რედაქცია აქ არაფერ შუაშია—დანამდვილებით ვიცით, რომ ზოგიერთი წერილები ფოშტამ აღრესატს არ დაანება რადგან აღრესი უზვიროთ იყო დაწერილი.

განცხადებანი

მსურს ცოლის შერთვა, იყოს ახალგაზდა ესე 20-დან 22 წლამდე. წერა კითხვის მცოდნე და რაე ხელობაც უნდა იცოდეს მაგ. ჭრა-კერვა. მე თვითონ ხელობით ასოთ-ამწყობი ვარ (სტამბაში მომუშავე) თვეში 50 მანეთი მაქვს ჯამაგირი, ხნოვანობით ვარ 25 წლისა თუ ვინმე ინებებს და გამომიგზავნის ფოტოგრაფიულ სურათს, მეც შემიძლია გაუგზავნო ჩემი სურათი, თუ არა და შეიძლება პირადადაც მოლაპარაკება (უფრო უკეთესი იქნება) ან თუ არა და წერილობით. აღრესი: Тифлисъ Тифография „Сорапанъ“ А. Г. М.—ладзе. (თფ)

გთხოვთ № 26. ჩემი ფოტოგრაფიული სურათი უკანვე დამიბრუნოთ, წინა აღმდეგ შემთხვევაშიდ თქვენ სახელსა და გვარს გაზეთშიდ გამოცხადებთ.

რედაქციის დროს დაგზარადლი, „ბრაშიურის“ დაბეჭდვისათვის პასუხის გებაშიდ მიმცეს და ციხეში ჩამსვეს რაც რამე მქონდა „ამხანაგებმა“ მიფლანგმოფლანგეს, ერთი თვის შემოვეც ციხიდგან გამათავისუფლებენ, მარა საქმეს რომ შეუდგე თანხა არა მაქვს. (წიგნებით ვაჭრობდი) თუ ვინმე აღმოჩნდება ამხანაგი ქალი და თანხას გამიჩენს ცოლათაც შევირთამ და საქმესაც ორივე ერთათ გაუძღვებით.

აღრესი: Тифлисъ почта. предъявителю 3 руб. кредит. билета за № 489475 (2—1)

მსურს გათხოვება მდიდარ და შეძლებულ ყმაწვილზე. საოცარი ლამაზი ვარ. კარგი ხასიათისა და დაუზარელი მეოჯახე. საშუალო განათლება მაქვს მიღებული. სამხედრო სამსახურში მყოფებს ვერ წავყვები. წერილის წერით ნუ შეიწყუხებენ თავს. უსახლო წერილებზე პასუხს არ გავსცემ, აღრესი: Кутаисъ, почта, предъявит. Свидѣтельст. обь окон. ж. г. за № 2510.

(2—1).

დიდი სურვილი მაქვს თანამედროვე
ლიტერატურის გავრცელებისა და ამიტომ
უარს არ ვიტყვი, ფულიან ქალზე. მეტ
ყურადღებას ვაქცევ ქალის მეოჯახობას
და სინდისიერებას. მე თვითონ ხელობით
ასოთ-ამწყობი ვარ (21 წლ.) და თვიურ
ჯამაგირს 50 მანეთს ვიღებ, სხვა შეძ-
ლებულებას ვისაც სურს წერილის სა-
შუალებით შევატყობინებ.

ადრესი: **Тифлисъ журна „Зурна“
для П. Д—дзе.** (5—5.—1)

ცხრამეტი წლის ქალი ვარ. ვასათხო-
ვარი და უმწიკვლო ოჯახის შვილი.
ქრაკერვის და ქარგვის კარგი მცოდნე.
მზითვებით მშობლები მიძღვევენ ოჯახის
მოსაწყობ ბარგსა და ნივთებს გარდა
1000 მ. ფულათ. ვეძებ საქმროს შემ-
დეგის პირობით: უნდა იყოს ხნოვანებით
25-დან 30-წლამდე. კკუიანი, შეგნებული
და ზრდილობიანი. ხელობით ან რაიმე
სუფთა საქონლით მოვაქრე, ან ნოქარი
ან რომელიმე რიგიან კერძო ან სახელ-
მწიფო დაწესებულებაში მოსამსახურე
პირი, რომელსაც უნდა შემოდიოდეს
თვიურად არა ნაკლებ 60 მანეთისა.
თვალტანადობით სიმპატიური შეხედუ-
ლობის. ჩემი პირადი ღირსების შესახებ
ვიტყვი მხოლოდ რომ ზოგს მოე-
წონვარ შეიძლება ვარეგნობით შეი-
ძლება ხასიათით. მაინტერესებს პო-
ლიტიკური კითხვები და ვეტანები ქარ-
თულ წიგნების და გაზეთების კითხვას.
რუსული სამაგისოთ არ ვიცი რადგან
სურათით ადამიანის გამოცნობა მეტად
ძნელია და თითქმის არც კი შეიძლება,
თანახმა ვარ პირადათ ნახვის და გაცნო-
ბის, ხოლო იმ პირობით, რომ თუ ამას
სასურველი შედეგი არ მოჰყვა, როგორც
ჩვენი მოლაპარაკება ისე ჩვენი ერთმა-
ნეთის ცნობა უნდა დარჩეს საიდუმლოდ
და მიეცეს სრულ დავიწყებას. თანახმად
ჩემის განცხადებისა მსურველმა მაცნო-
ბოს დახურული წერილით.

ადრესი: **Тифлисъ, почта предья-
вителю рубл. кредит. билета за
№ 708291.** (2—1)

მსურს ცოლი ვითხოვო, ახალგაზდა,
ლაპაზი, ცქვიტი, განვითარებული და
მეოჯახე უნდა იქნეს, მზითვეი სავალდე-
ბულო არ არი. თითონ მე საშუალო
სასწავლებელი მაქვს გათავებული სამ-
სახურში ვარ, მაქვს 80 მანეთი თვეში.
დაწვრილებით პირობა წერილით. ადრესი:
**Тифлисъ, предьявителю руб.
кредит. билета за № 770000.** (3—2)

28 წლისა ვარ, სწავლა დიდი არა მაქვს
მიღებული, მხოლოდ განვითარება კისაკ-
მაო. რეაქციის ტ ლლები მეტათ ჩემზედ
მოქმედებს და ამას ზედერთვი სიმარტოვე
და მოწყენილება რისთვისაც გადავსწყვიტე
ცოლის შერთვა. ფულები სავალდებულო
არაა. ღამაზი თუ იქნება მით უკეთესი.
ადრესი: **Батумъ. Почта. предьявитель
трехъ руб. кредит. билета № 901902.**



როგორც „ჩვენები“ გამახდენ მან ტუჩები
მოკუნე, რომ დაესტვიანა მამინ კი დავი-
ჭირეთ ..

მსურს გათხოვება. განათლება ეპარ-
ხიალურ სასწავლებელში მაქვს მიღებუ-
ლი, ღარიბი მამის შვილი ვარ, ქრთამი
არა მაქვს. მგონია რომ ღამაზი უნდა
ვიყო. ჩემ სურათს თუ ვინმე მოისურვებს
დროებით გაუგზავნი. უსახელო და ინი-
ციალების ავტორებს პასუხს არ გავცემ.

ადრესი: **Тифлисъ, Предьявителю
руб. кредит. билета за № 809978.** (2—2).

32 წლის კაცი ვარ, პროფესიით ჟურ-
ნალისტი, უცოლო. პრინციპიალურათ
ცოლის შერთვის წინააღმდეგი არ ვყო-
ფილვარ, მარა თანამედროვე ბურჟუაზიულ
ხანაში, როდესაც ყველგან და ყველაფერში
გამეფებულია უღმობელი მატერიალური
ანგარიში, რამაც ოჯახურ და მეუღლურ
ცხოვრებასაც თავის დაღი დაასო, ვერ
ვბედავდი ცოლის თხოვას. მარა მომ-
ბეზრდა მარტოობა ჩემი გული თხოვლობს
სიყვარულის საგანს მეუღლის სახით.
მწყურია ოჯახური ცხოვრება. მინდა უყ-
ვარდე ვინმეს, რომ არსებობისთვის ბრძო-
ლით და კირვარამით დაქანცულს შემე-
ძლოს თავი შევაფარო მას და სულიერად
მოვისვენო. ვეძებ საცოლოს. მზითვები
თუ ექნება ხომ კარგი თუ არა
და არ დავეძებ, მარა თითონ კი უნდა
იყოს უწინარეს ყოვლისა პატიოსანი
დღემამისშვილი და მასთან ზნეობრივად
აღზრდილი, გონებრივად იმ ზომამდე
განვითარებული, რომ შეეძლოს თანამე-
დროვე კითხვებზე და სერიოზულ საგ-
ნებზე სჯა-კამათის გაგება. იცოდეს მეო-
ჯახეობა ე. ი. იყოს ცხოვრებისთვის
პრაქტიკულათ მომზადებული. ამასთან,
რადგან ცოლქმრულ კავშირს უმთავრესად
სქესობრივი მიდრეკილება უძევს საჩულოდ
ესტესტიურის მხრივ აუცილობელ ჰირო-
ბათ მიმანჩია სილაპაზე. ხნოვანებით 17-დან
25 წ. ეროვნებით და სარწმუნოებით ვინც
უნდა იყოს, ხოლო მსოფლმხედველობით
უსათუოდ სოციალ-დემოკრატი. ქართული
ან რუსული ენის ცოდნა საქაროა აუ-
ცილებლათ რადგან სხვა ენები მე არ ვიცი.

ადრესი: **Тифлисъ почта предьявит.
руб. кредит. билета за № 499006.**



ქალი — ნება მიბოძეთ ექსპროზანცია
მოვანდინო.

კაცი — დღეს უკვე დაბეჭეებული ვარ.



კულისებშიდ.

„ზურნას“ ფოსტა.

ბაქოში ე. მატხერიახ. თქვენ თვი-
თონ პირდაპირ მიმართეთ იმ ადრესით
ფოსტის სახელზე ვისაც წერილს უგზავ-
ნით უნდა დაიწეროს ასე: **почтаить (та-
кой-то или такому-то) До вострѣбо-
ванья.**

გამომცემელი **დ. აბდუშელი.**